ზამთრის ძილი

გაიხსენე, როგორ ატარებენ გარეული ცხოველები ზამთარს.

ზოგი ცხოველი ზამთარში იძინებს. მათ შორის არიან დათვი, ზღარბი და ზაზუნა. შემოდგომით ისინი კარგად ჭამენ. როგორც კი აცივდება, ზამთრის ძილისთვის ემზადებიან. მაგალითად, ზღარბს **თითქმის** ხუთ თვეს ბურთივით დახვეულს სძინავს. ბუნაგს იგი **ტალახის**, ფოთლებისა და ბალახებისგან იკეთებს. ძილის დროს ზღარბის სხეულის ტემპერატურა **ეცემა**. ის ისე ნელა სუნთქავს, მისი შემჩნევა ძნელია. მაგრამ თუ ბუნაგი გაიყინა, ზღარბი იღვიძებს. ის მალევე პოულობს უფრო თბილ ადგილს და ძილს იქ აგრძელებს.

ალპური ზაზუნაც ზამთარში ბურთივით მრგვალდება. იგი იძინებს სოროში. სორო ზაზუნას მიწაში აქვს გათხრილი. იქ იგი ექვს თვეს რჩება და სძინავს. ამ პერიოდში ზაზუნას სხეულის ტემპერატურაც ეცემა. გულიც ნელა უცემს. ამიტომ არ სჭირდება საჭმელი.

როგორც კი დათბება, ზაზუნა და ზღარბი იღვიძებენ.

რა გაიგე ახალი ტექსტიდან ცხოველების თვისებების შესახებ?

დონე: *B* გარდამავალი, **კომპონენტი:** *შედარება-შეპირისპირება*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 პირველ აბზაცში ნათქვამია:

ა) რა ტემპერატურაზე იძინებს ზღარბი.

ბ) რატომ მრგვალდება ზღარბი ბურთივით.

გ) როგორ სუნთქავს ზღარბი ზამთარში.

2 ზაზუნასაგან განსხვავებით, ზღარბი:

ა) ბურთივით მრგვალდება და ისე იძინებს სოროში.

ბ) რამდენიმე თვეს ატარებს თავის თბილ სადგომში.

გ) ყინვის გამო იღვიძებს და ახალ სოროში გადადის.

3 რით ჰგავს ერთმანეთს ზღარბი და ზაზუნა?

ა) ორივე დაძინებამდე კარგად იკვებება.

ბ) ორივე ზამთარში ფუღუროში ბინავდება.

გ) ორივე მიწაში იკეთებს სოროს.

4 ზღარბის მსგავსად ზამთარში:

ა) ზაზუნასაც ნელა უცემს გული.

ბ) ზაზუნაც იცვლის ძილის ადგილს.

გ) ზაზუნაც მიწაში იკეთებს სოროს.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ზღარბს **თითქმის** ხუთ თვეს სძინავს.

   ა) ალბათ. ბ) დაახლოებით. გ) ზუსტად.

2. ტემპერატურა **ეცემა**.

   ა) იკლებს. ბ) იმატებს. გ) იცვლება.

2 ამოიწერე ტექსტიდან, რა ჰქვია წყალში არეულ მიწას?

წყალში არეულ მიწას ჰქვია ----------.

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები?

ა) ზოგი – ყველა. ბ) ნელა – სწრაფად. გ) ძნელი – რთული.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

1. ---------- ხუთ თვეს სძინავს.

   ა) ზღარბი. ბ) ზღარბმა. გ) ზღარბს.

2. სიცივეში ---------- ტემპერატურა იკლებს.

   ა) სხეული. ბ) სხეულის. გ) სხეულს.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ბევრი ცხოველი ბუნაგში ----------. ***(იმალებიან/იმალება)***

2. ბუნაგი ტალახისა და ---------- არის გაკეთებული.

   (ბალახიდან / ბალახისაგან)

3 რომელი სიტყვისგან არის მიღებული?

ნიმუში: დათბება – თბილი.

1. აცივდება – ----------. 2. იყინება – ----------.

გრამატიკა

4 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები (გამოიყენე: -ვით, -ში, -ზე**).**

1. ზაზუნა *(გაზაფხული)* ---------- იღვიძებს.
2. ბევრი ცხოველი *(ზამთარი)* ---------- იძინებს.
3. ზღარბს *(ბურთი)* ---------- დახვეულს სძინავს.

წერა

1 დაწერე ტექსტის მიხედვით, რა აქვთ საერთო და რით განსხვავდებიან ზაზუნა და ზღარბი.



2 წარმოიდგინე, რომ ზღარბი ან ზაზუნა ჰყვება, როგორ ემზადება იგი ზამთრისთვის. დაწერე ერთ-ერთი ცხოველის მონაყოლი პირველ პირში. გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატით.